CZ US LV
AZ
ES
FR
BG

AE
BY FI AZ

ენის გავლენა ულტრამემარჯვენე ექსტრემისტული იდენტობის ჩამოყალიბებაზე ინტერნეტსივრცეებში

EN AU
GB ZA

EG
GE
TR

GR
RU
DE
BA
KZ

GCSD TRC

ენის გავლენა ულტრამემარჯვენე ექსტრემისტული იდენტობის ჩამოყალიბებაზე ინტერნეტსივრცეებში

ბექა ფარსადანიშვილი

თბილისი

2020 წელი

საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი (GCSD) არასამეწარმეო, არასამთავრობო ორგანიზაციაა. ჩვენი ძირითად მიზნებია: საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა; ქვეყნის ეფექტიანი და დემოკრატიული მართვის პრინციპების განმტკიცება და ქვეყნის მდგრადი განვითარების პირობების შექმნა. მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენი საქმიანობა მოიცავს: კვლევას, მონიტორინგს, ადვოკატირებასა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას. ჩვენი ღირებულებები ეფუძნება თანასწორობის, ადამიანის თავისუფლების, პატივისცემის, ანგარიშვალდებულების და გამჭირვალობის პრინციპებს.

GCSD-სთან არსებული ტერორიზმის კვლევითი ცენტრი (TRC) არის პირველი ქართული ორგანიზაცია, რომლის მიზანია ტერორიზმის, რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის კვლევა და ამ ფენომენებთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში არსებული ცოდნის ნაკლებობის შევსება. ცენტრი საკუთარ მისიად მოიაზრებს შექმნას იმ ტიპის პროდუქტები, რომელიც სამომავლოდ საქართველოში ხსენებული საკითხების უფრო სიღრმისეულ კვლევას შეუწყობს ხელს, ასევე დაეხმარება ამ საკითხების მოქმედ მკვლევარებსა და ამ მიმართულებით მომუშავე პრაქტიკოსებს.

ავტორის შესახებ:
ბექა ფარსადანიშვილმა 2018 წელს მიკოლას რომერის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა დაამთავრა. 2020 წელს კი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა. ამჟამად, იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონფლიქტის ანალიზისა და მართვის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლობს. 2020 წლის დეკემბრიდან ბექა GCSD-ში ასოცირებული მკვლევარის პოზიციაზე მუშაობს. მანამდე მან სამთვიანი სტაჟირება TRC-ში გაიარა. ასევე, მუშაობდა მკვლევარის ასისტენტის პოზიციაზე TEPSA-ში (2018). ბექას გამოქვეყნებული აქვს პუბლიკაციები და საკონფერენციო ნაშრომები უსაფრთხოებისა და საერთაშორისო ეკონომიკური/სავაჭრო ურთიერთობების შესახებ.

წინამდებარე კვლევაში გამოხატული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ გამოხატავდეს საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის პოზიციას. ცენტრის წერილობითი თანხმობის გარეშე დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

კვლევა მომზადებულია 2020 წლის დეკემბერში, შესაბამისად, მასში გათვალისწინებული არ არის მიმდინარე წლის იანვრის თვეში კაპიტოლიუმის შენობასთან განვითარებული მოვლენები.

აბსტრაქტი

გაეროს კონტრტერორისტული საბჭოს მიერ 2020 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ულტრამემარჯვენე იდეოლოგიებით მოტივირებული ტერორისტული აქტების რაოდენობა 320 პროცენტით გაიზარდა.[1] საინტერესოა ისიც, რომ ზოგიერთი ავტორი ულტრამემარჯვენე ტერორიზმს ტერორიზმის მეხუთე ტალღადაც მოიხსენიებს.[2] ამრიგად, მოცემული თემის შესწავლა მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს.

ულტრამემარჯვენე ტერორიზმის კვლევის აუცილებლობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ისეთი სახელმწიფო, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, ულტრამემარჯვენე იდეოლოგიით მოტივირებულ ტერორიზმს ეროვნული უსაფრთხოების პრობლემად სცნობს.[3]

წინამდებარე ნაშრომი ინტერნეტსივრცეებში გავრცელებული ულტრამემარჯვენე ძალადობრივი იდეების პროპაგანდასა და ექსტრემისტული იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში ენის როლს იკვლევს. გამომდინარე იქიდან, რომ ტერორისტ მებრძოლთა ჩამოყალიბების პირველ ეტაპს სწორედ იდეოლოგიური ინდოქტრინაცია წარმოადგენს, მნიშვნელოვანია ავხსნათ, თუ როგორ მიმდინარეობს მსგავსი პროცესები ისეთ ნაკლებად რეგულირებულ სივრცეებში, როგორიც ინტერნეტ-პლატფორმებია.

მოცემული კვლევის მიზანია სოციოლოგიის მეცნიერებაში დამკვიდრებული ისეთი კონცეფციების, როგორებიცაა „სოციალიზაცია“, „სოციალური კატეგორიზაცია“, „ენა“ და „იდენტობა“, მიხედვით ახსნას ინტერნეტსივრცეებში ულტრამემარჯვენე იდეოლოგიური პროპაგანდის გავლენა ინდივიდებზე და ალტერნატიული ხედვა წარმოადგინოს როგორც

---

[1] United Nations Security Council. Counter-Terrorism Committee Executive Directorate (CTED) (2020). *Member States Concerned By The Growing And Increasingly Transnational Threat of Extreme Right-Wing Terrorism.* გვ. 3. ბოლო ნახვა: 24 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https://www.un.org/sc/ctc/wp-content/uploads/2020/04/CTED_Trends_Alert_Extreme_Right-Wing_Terrorism.pdf

[2] Auger, V. (2020). *Right-Wing Terror: A Fifth Global Wave?.* Perspectives on Terrorism 14(3). გვ. 87-97 (1).

[3] ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი (2019). *S.894 116th Congress 1st Session – A Bill.* სექცია 2. ბოლო ნახვა: 24 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https://www.congress.gov/116/bills/s894/BILLS-116s894is.xml

პროპაგანდის მექანიზმებზე, ისე იდენტობის ჩამოყალიბების პროცესზე.

კვლევაში დასახული მიზნის გათვალისწინებით მოხდა ისეთი ინტერნეტ-პლატფორმების კონტენტ- და ინვენტ-ანალიზი, როგორებიცაა *Facebook, Instagram, Whatsapp, Twitter, Parler, Gab,* და გამოვლინდა გავრცელებული პროპაგანდის ტენდენციები. გარდა ამისა, ასევე მოხდა მოცემული პლატფორემიბს მიერ მოწოდებული ანგარიშების დეტალური შესწავლა. ტენდენციების გამოვლენის შემდეგ კი, მოხდა პროცესის ახსნა თეორიული ჩარჩოს მიხედვით და შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები მსგავსი სივრცეების მიმართ სწორი პოლიტიკის შესამუშავებლად.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ძალადობრივი იდენტობის ჩამოყალიბება წარმოადგენს სოციალიზაციისა და სოციალური კატეგორიზაციის სახეცვლილი პროცესების შედეგს, რომელიც იდეოლოგიური პროპაგანდის პროცესში გამოყენებული სპეციფიკური ენობრივი მახასიათებლებით გამოირჩევა. ასევე საგულისხმოა, რომ ადამიანები უნებლიედ შეიძლება გახდნენ ე.წ სოციალიზაციის აგენტები და არაგამიზნულად ხელი შეუწყონ ულტრამემარჯვენე ძალადობრივი იდენტობის ჩამოყალიბების პროცესს.

საკვანძო სიტყვები: *ულტრამემარჯვენე ტერორიზმი, პროპაგანდა, ინტერნეტსივრცეები, ენა, სოციალიზაცია, სოციალური კატეგორიზაცია, იდენტობა.*

სარჩევი

1. შესავალი.....6

1.1 ცვლადების კონცეპტუალიზაცია და ოპერაციონალიზაცია.....8

1.2 კვლევის აქტუალურობა და მნიშვნელობა.....9

1.3 კვლევის თეორიული ჩარჩო.....10

1.4 კვლევის მეთოდოლოგია.....11

1.5 კვლევის ძირითადი მიმართულება.....12

2. ლიტერატურის მიმოხილვა.....13

3. ანალიტიკური ნაწილი.....15

3.1 ულტრამემარჯვენე ტერორიზმის იდეოლოგიური პოსტულატები.....15

3.2 ულტრამემარჯვენე ტერორიზმი დღეს.....16

3.3 ულტრამემარჯვენე იდეოლოგიური პროპაგანდის ინტერნეტსივრცეები 21

3.3.1 ულტრამემარჯვენე ძალადობრივი პროპაგანდისათვის გამოყენებული სოციალური ქსელები..... 21

3.3.2 პანდემიის გავლენა ძალადობრივი იდეოლოგიური პროპაგანდისათვის გამოყენებულ ინტერნეტსივრცეებზე 24

3.3.3 ულტრამემარჯვენე ძალადობრივი იდეოლოგიის პროპაგანდის სამიზნე აუდიტორია და დაუცველი ჯგუფები..... 26

3.3.4 ულტრამემარჯვენე ძალადობრივი პროპაგანდის კონტენტ- და ინვენტ-ანალიზი ინტერნეტსივრცეებში 29

3.4 ულტრამემარჯვენე ექსტრემისტული იდენტობის ჩამოყალიბება ინტერნეტსივრცეებში....32

3.4.1 ენა, როგორც ულტრამემარჯვენე ძალადობრივი იდეოლოგიის პროპაგანდის წარმატების იარაღი..... 32

3.4.2 ულტრამემარჯვენე ძალადობრივი პროპაგანდის შედეგად დაწყებული სოციალიზაციის, სოციალური კატეგორიზაციის პროცესები 35

3.4.3 ინტერნეტსივრცეში ჩამოყალიბებული იდენტობიდან ტერორისტულ თავდასხმამდე 37

3.5 სოციალური ქსელების ბრძოლა ძალადობრივი პროპაგანდის შემცველ კონტენტთან.....38

3.5.1 სოციალური ქსელების ადმინისტრაციის ნაბიჯები ძალადობრივი კონტენტის შემცირების მიზნით..... 38

3.5.2 GAB და Parler, როგორც Facebook-ისა და Twitter-ის ძალადობრივ პროპაგანდასთან ბრძოლის არასწორი პოლიტიკის შედეგი 40

3.5.3 სხვა სტრატეგიები ძალადობრივი იდეოლოგიების პროპაგანდის შესამცირებლად სოციალურ ქსელებში 42

დასკვნა.....44

გამოყენებული ლიტერატურა.....45

1. შესავალი

2001 წლის 26 სექტემბერს ამერიკის შეერთებული შტატების 41-ე პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის, მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცხადებიდან ორი დეკადის შემდეგ, ალბათ, ცოტა თუ წარმოიდგენდა, რომ ტერორიზმი არათუ დამარცხდებოდა არამედ ფეხს აუწყობდა ტექნოლოგიურ პროგრესს და გარკვეულ ელემენტებს ინტერნეტ-პლატფორმების საშუალებით განახორციელებდა.[4]

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს ულტრამემარჯვენე იდეოლოგიების პროპაგანდის შედეგად იდენტობის ჩამოყალიბების პროცესსა და ამ პროცესზე ენის გავლენას.

მოცემული კვლევის სწორი სტრუქტურირებისათვის საჭიროა შესავალში ჩამოვაყალიბოთ საკვლევი კითხვა, კვლევის ჰიპოთეზა, მისი თავსატეხი, ცვლადები და მოვახდინოთ დასახელებული ცვლადების კონცეპტუალიზაცია და ოპერაციონალიზაცია. ასევე დავსახოთ ის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც განვითარებულია მოცემულ კვლევაში.

საკვლევი კითხვა

ნაშრომის ფარგლებში პასუხი უნდა გაეცეს საკვლევ კითხვას, რომლის ფორმულირებაც შემდეგნაირადაა შესაძლებელი: **რა როლი აქვს ენას ინტერნეტსივრცეში ულტრამემარჯვენე ექსტრემისტული იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში?**

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ მოცემულ კითხვაზე პასუხის გასაცემად კვლევის ფარგლებში პასუხი უნდა გაეცეს რიგ მომიჯნავე შეკითხვებს, რომელთა ფორმულირებაც შემდეგნაირად მოხდება:

- როგორ შეცვალა პანდემიამ ულტრამემარჯვენე ძალადობრივი იდეოლოგიის გავრცელების ინტერნეტსივრცე?

[4] ,n.d. The Washington Post. (2001). *Text: President Bush Addresses the Nation*. ბოლო ნახვა: 25 დეკემბრი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https://www.washingtonpost.com/wp-srv/nation/specials/attacked/transcripts/bushaddress_092001.html

- ვინ წარმოადგენს ასეთ სივრცეებში სამიზნე აუდიტორიას და მოწყვლად ჯგუფებს?
- რა როლი აქვს ენას იდენტობის ჩამოყალიბებაში და რა გავლენას ახდენს ის სოციალიზაციისა და სოციალური კატეგორიზაციის პროცესებზე?
- რა ნაბიჯები და სტრატეგიები შეიძლება გადაიდგას ასეთი სივრცეების გავლენის შესამცირებლად?

სწორედ მოცემულ კითხვებზე პასუხი მოგვცემს საშუალებას პასუხი გავცეთ ხსენებულ საკვლევ კითხვას.

კვლევის ჰიპოთეზა

ნაშრომის სავარაუდო ჰიპოთეზა შესაძლებელია შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

ინტერნეტსივრცეებში გავრცელებული იდეოლოგიური პროპაგანდა ხასიათდება სპეციფიკური ენობრივი ელემენტებით, რაც მთლიანად გასდევს ინტერნეტსივრცეში ადამიანთა სოციალიზაციისა და სოციალური კატეგორიზაციის პროცესს, რომლის შედეგადაც მათ უყალიბდებათ ულტრამემარჯვენე ექსტრემისტული იდენტობა.

თავსატეხი

მიმდინარე წელს პანდემიამ სოციალური ცხოვრების ყველა სფეროზე უარყოფითი კატალიზატორის ეფექტი იქონია. თუმცა, ამ პროცესებს საპირისპირო გავლენა ჰქონდა ულტრამემარჯვენე ძალადობრივი იდეოლოგიის პროპაგანდაზე და შეიძლება ითქვას, ხელიც კი შეუწყო მას. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული თეზისი შესაძლებელია პარადოქსულად ჟღერდეს, წინამდებარე კვლევაში თეზისი გამყარებულია ემპირიული მეთოდებით და შესაბამისი არგუმენტაციით.

კვლევაში წარმოდგენილი ცვლადები

წინამდებარე კვლევაში წარმოდგენილია სამი ტიპის ცვლადი, რომელთა სწორი კონცეპტუალიზაცია და ოპერაციონალიზაცია მოგვცემს საშუალებას უკეთ შევისწავლოთ ულტრამემარჯვენე ძალადობრივი იდეოლოგიური პროპაგანდის ეფექტურობის განმსაზღვრელი ფაქტორები. კვლევაში წარმოდგენილი ცვლადებია:

დამოკიდებული ცვლადი - ინტერნეტსივრცეში შექმნილი ულტრამემარჯვენე ძალადობრივი იდენტობა.

დამოუკიდებელი ცვლადი - ინტერნეტსივრცეში გავრცელებული იდეოლოგიური პროპაგანდის ენობრივი მახასიათებლები.

შუალედური ცვლადი - ენობრივი სპეციფიკურობის ფონზე მიმდინარე სოციალიზაციის და სოციალური კატეგორიზაციის პროცესი.

1.1 ცვლადების კონცეპტუალიზაცია და ოპერაციონალიზაცია

კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვანია სწორად იქნას აღქმული დასახელებული ცვლადები. ამიტომაც საჭიროა, თითოეული ცვლადისათვის მოვახდინოთ კონცეპტუალიზაცია და ოპერაციონალიზაცია, რაც მათ დაზუსტებასა და გაზომვის მეთოდის შემუშავებას გულისხმობს.

ზემოთ დასახელებული დამოკიდებული ცვლადი, „ინტერნეტსივრცეში შექმნილი ულტრამემარჯვენე იდენტობა“ გულისხმობს ადამიანის მიერ საკუთარი თავის ასოცირებას და მიკუთვნებას ულტრამემარჯვენე იდეოლოგიის მქონე ჯგუფებთან, ასეთ ადამიანად თავის წარმოდგენა და ულტრამემარჯვენე ძალადობრივი იდეოლოგიის მისაღებად აღქმა. მოცემული ცვლადის გაზომვა შესაძლებელია მსგავს სივრცეებში გაერთიანებულ ადამიანთა მიერ აქტიურობაზე დაკვირვებით, რაც მათ მიერ სხვისი აზრის მოწონებას, მსგავს ადამიანებთან კონტაქტში შესვლას და ულტრამემარჯვენე ძალადობრივი იდეოლოგიის შემცველი შეტყობინების გავრცელებას გულისხმობს.

დამოუკიდებელი ცვლადი, „ინტერნეტსივრცეებში გავრცელებული იდეოლოგიური პროპაგანდის ენობრივი მახასიათებლები“, გულისხმობს მსგავს პროპაგანდაში გამოყენებული ენის მახასიათებლებს, რაც ძირითადად „ენის“ როგორც სოციოლოგიური კონცეფციის გაგების

შედეგად მოხდება. მოცემული ცვლადის გაზომვა შესაძლებელია გავრცელებული განცხადებების კონტენტ- და ინვენტ-ანალიზით, რაც გულისხმობს განცხადებებში საკვანძო სიტყვების პროცენტული წილისა და მათი შინაარსობრივი გამოყენების ტენდენციების გამოვლენას.

შუალედური ცვლადი, „ენობრივი სპეციფიკურობის ფონზე მიმდინარე სოციალიზაციისა და სოციალური კატეგორიზაციის პროცესი“, გულისხმობს იდენტობის ჩამოყალიბებამდე მიმდინარე პროცესებს, რომლებიც ადამიანის შეხედულებების ჩამოყალიბებას ან შეცვლას გულისხმობს.

ცვლადების განსაზღვრის შემდეგ არანაკლებ მნიშვნელოვანია მოხდეს ამ ცვლადებს შორის არსებული კავშირის დადგენა. წინამდებარე კვლევაში წარმოდგენილი დამოუკიდებელი ცვლადი, რომელშიც ძალადობრივი პროპაგანდა იგულისხმება ენის საშუალებით აყალიბებს ადამიანის გარკვეულ შეხედულებებს, ანუ წარმართავს სოციალიზაციისა და სოციალური კატეგორიზაციის პროცესებს, რომლის საბოლოო შედეგსაც დამოკიდებული ცვლადი, ანუ ულტრამემარჯვენე ექსტრემისტული იდენტობა წარმოადგენს.

1.2 კვლევის აქტუალურობა და მნიშვნელობა

როგორც უკვე ითქვა ულტრამემარჯვენე ტერორიზმი საერთაშორისო საზოგადოების ახალ და საკმაოდ რთულ გამოწვევას წარმოადგენს. კვლევის აქტუალურობას ზრდის ხსენებული სტატისტიკაც.

კვლევა მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ იგი აქტუალურ საკითხზე ალტერნატიულ ხედვას გვთავაზობს, რაც გულისხმობს მოცემული საკითხის სოციოლოგიის მეცნიერებაში არსებული კონცეფციების საშუალებით აღქმას.

კვლევის არანაკლებ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ იგი იმ

პროცესებს განიხილავს, რომელიც წინ უძღვის ულტრამემარჯვენე ძალადობრივი იდეოლოგიით მოტივირებულ ტერორისტული აქტის ჩადენას. ამდენად, კვლევა პრობლემის საწყისებს შეისწავლის და საშუალებას იძლევა გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები მსგავსი შემთხვევების შესამცირებლად.

1.3 კვლევის თეორიული ჩარჩო

წინამდებარე თემის სოციოლოგიის მეცნიერებაში დამკვიდრებული კონცეფციის გამოყენებით განხილვა არ გულისხმობს სხვა მიდგომებით საკითხის კვლევის დისკრედიტაციას. არამედ პირიქით, მსგავსი კონცეფციების გამოყენება ალტერნატიული ხედვის წარმოდგენას ემსახურება.

როგორც ითქვა, ულტრამემარჯვენე ძალადობრივი იდეოლოგიური პროპაგანდა გარკვეული ენობრივი ტენდენციებით ხასიათდება. სოციოლოგიაში ენა არა ლექსიკურ ერთობლიობას, არამედ მთლიანად სისტემას წარმოადგენს, რაც მის კომპლექსურობაზე მიუთითებს. ენის, როგორც სოციოლოგიური ფენომენის, მკვლევარი, ანთროპოლოგი მარვინ ჰარისი მიუთითებს ენის ცვალებად ხასიათზე, რომელიც პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ ან სხვა მსგავსი ტიპის გარემოს ერგება. იგი ასევე ხაზს უსვამს ენის როლს სოციალური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური პროცესების ფორმირებასა და ამ პროცესების შედეგების განსაზღვრაში.[5]

გარდა ენისა, კვლევაში გამოყენებულია ისეთი კონცეფციები როგორებიცაა სოციალიზაცია, რაც ადამიანის მიერ მოქცევის წესების შესწავლას გულისხმობს და სოციალური კატეგორიზაცია, რომელშიც მოიაზრება ადამიანის უნარი მოახდინოს მის ირგვლივ ადამიანთა კატეგორიზაცია ისეთ ჯგუფებად როგორებიცაა „მე/სხვა“, „ჩვენ/სხვა“.

ისეთი ცნება, როგორიც იდენტობაა განსაკუთრებით დამაბნეველ ხასიათს იძენს. წინამდებარე ნაშრომში მოცემული კონცეფცია გამოყენებულია სოციოლოგიის მეცნიერებაში არსებული

[5] Harris. M. (1971). *Culture, People, and Nature: An Introduction to General Anthropology.* New York: Thomas Y. Crowell Company. (Chapter 7).

კონვენციური მნიშვნელობით, რაც ადამიანის მიერ საკუთარი თავის რაიმე ნიშნების მქონე ჯგუფისათვის მიკუთვნებას გულისხმობს.

ამრიგად, კვლევის თეორიული ჩარჩო აქტიურად გამოიყენება მთლიანად კვლევაში და როგორც ითქვა, განსხვავებული გზით ხსნის ულტრამემარჯვენე ძალადობრივი იდენტობის ინტერნეტსივრცეების მეშვეობით ჩამოყალიბების პროცესს.

1.4 კვლევის მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევა ძირითადად კონტენტ- და ინვენტ- ანალიზს ეყრდნობა. მოცემულ დოკუმენტში გაანალიზებული იქნება ისეთ გლობალურ სოციალურ-ქსელებში, როგორიცაა Facebook, Twitter, Instagram და ლოკალურ სოციალურ ქსელებში, მაგალითად Parler და Gab-ში, გავრცელებული ძალადობრივი ხასიათის შემცველი პროპაგანდისტული მასალები. მოცემული მეთოდის დახმარებით გამოვლენილი იქნება პროპაგანდის გარკვეული ენობრივი ტენდენციები, რაც შემდგომში დაგვეხმარება თანმდევი პროცესების უკეთ გაგებაში.

გარდა დასახელებული მეთოდებისა, პანდემიის ფაქტორის უკეთ შესასწავლად გამოყენებული იქნება მეორეული და მესამეული წყაროების ანალიზი, რაც გულისხმობს ხსენებული პლატფორმების მიერ საზოგადოებისათვის მიწვდილი სტატისტუკური მონაცემების დეტალურ კომპარატიულ ანალიზს.

კვლევის მეთოდების დასახელების შემდეგ საჭიროა დავამტკიცოთ მათი რელევანტურობა მოცემულ კვლევის მიმართ. დამოკიდებულების შესასწავლად აქტიურად გამოიყენება კონტენტ- და ინვენტ-ანალიზი, რაც გავრცელებული განცხადებების სტატისტიკური მაჩვენებლებისა და შინაარსობრივი კუთხის შესწავლას გულისხმობს,. გავრცელებული მასალის ჭარბი რაოდენობის გამო კი, სასურველია, შეირჩეს რეპრეზენტატული განცხადებები და მათგან მოხდეს განზოგადებული ტენდენციების გამოვლენა.

სტატისტიკური მონაცემების შეფასება კი, საშუალებას მოგვცემს გავზომოთ ამა თუ იმ სივრცის

მუშაობის ეფექტურობა, რის შედეგადაც შევძლებთ მასში არსებული ხარვეზების დადგენას და ახალი, ეფექტური სტრატეგიის ჩამოყალიბებას მოცემულ სივრცეებში პროპაგანდასთან გასამკლავებლად.

1.5 კვლევის ძირითადი მიმართულება

კვლევის განვითარება რამდენიმე მიმართულებით მოხდება. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა აღვწეროთ გამოსაკვლევი ინტერნეტსივრცეების სპეციფიკური მახასიათებლები. ასევე საჭიროა გამოვავლინოთ პანდემიის გავლენა მოცემულ სივრცეებსა და აქ გავრცელებულ პროპაგანდისტულ მასალაზე. ასევე აუცილებელია დავახასიათოთ მოცემულ სივრცეებში სამიზნე აუდიტორია და მოწყვლადი ჯგუფები. ამის შემდეგ, საჭიროა კონტენტ- და ინვენტ-ანალიზის საფუძველზე წარმოვადგინოთ გავრცელებული განცხადებების ენობრივი ტენდენციები, შემდეგ კი გავითვალისწინოთ სოციალიზაციისა და სოციალური კატეგორიზაციის პროცესების გავლენა იდენტობაზე, დავადგინოთ კავშირი ინტერნეტ-იდენტობასა და ტერორისტული აქტის განხორციელებას შორის. და ბოლოს, შევაფასოთ არსებული საპრევენციო მექანიზმები და დავსახოთ ახალი სტრატეგიები.

2. ლიტერატურის მიმოხილვა

წინამდებარე კვლევაში გამოყენებული ლიტერატურა შეგვიძლია რამდენიმე კატეგორიად დავყოთ, რომელიც მოიცავს აკადემიურ ლიტერატურას, იურიდიული დოკუმენტების ფართო სპექტრს და სხვადასხვა კომპანიებისა თუ ორგანიზაციების მიერ საზოგადოებისათვის მიწვდილ ანგარიშებსა და სტატისტიკურ მონაცემებს.

კვლევის აკადემიურ საფუძველს წარმოადგენს ისეთ მკვლევართა ნაშრომები როგორიცაა ამერიკელი ანთროპოლოგის, მარვინ ჰარისის წიგნი, *„კულტურა, ხალხი და ბუნება: შესავალი ზოგად ანთროპოლოგიაში“*, სადაც მარვინ ჰარისი ენის ბუნებაზე, მის მახასიათებლებზე და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე გავლენის მოხდენის უნარზე საუბრობს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ამერიკელი ლინგვისტის, ნოამ ჩომსკის შრომები, *„სინტაქსური სტრუქტურები“* და *„ენა და პასუხისმგებლობა“*, სადაც ჩომსკი საინტერესო იდეებს ავითარებს ენის, როგორც პროპაგანდის იარაღის შესახებ.[6]

ასევე საინტერესოა ულტრამემარჯვენე პროპაგანდის კუთხით წარმოებული ისეთი კვლევები, როგორებიცაა არი პერლიგერის ნაშრომი *„ამერიკული ულტრამემარჯვენე ძალადობის მომავალი“*, სადაც ის ხაზს უსვამს ულტრამემარჯვენე ტერორიზმთან ბრძოლის იმ სირთულეებს, რომელიც გამოწვეულია მისი არა-აფილაციური ხასიათით. ასევე მნიშვნელოვანია სინტია მილერ იდრისის ნაშრომი, *“Weaponizing Online Spaces”*, ინტერნეტსივრცეების ძალადობრივი მიზნებით გამოყენების შესახებ, რომელშიც ის ხაზს უსვამს სოციალური ქსელებისა და მსგავსი პლატფორმებისათვის არსებულ პრობლემას დროულად აღკვეთონ ულტრამემარჯვენე ძალადობრივი პროპაგანდა. [7]

---

[6] Comski, N. (1957) *Syntactic Structures*.
Comski, N. & Ronat, M. (1979) *Language and Responsibilities.*

[7] Idriss, M., C. (2020). *Weaponizing Online Space*. Hate in the Homeland: The New Global Far Right. New Jersey: Princeton University Press.

გარდა აკადემიური ლიტერატურისა, კვლევაში გამოყენებული ინფორმაცია გავრცელებული სიახლის ან კონკრეტული შემთხვევის შესახებ გადამოწმებული იქნება ისეთ აუთენტურ წყაროებთან, როგორებიცაა Politico, The Guardian, BBC, Washington Post, New York Times, The Economist და სხვა.

3. ანალიტიკური ნაწილი

წინამდებარე ნაწილი მიზნად ისახავს კვლევის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის შეჯამების საფუძველზე რიგი საკითხების შესახებ მსჯელობას. მოცემულ თავში გამოვლენილი იქნება ულტრამემარჯვენე ძალადობრივი იდეოლოგიების ძირითადი პოსტულატები, წარმოდგენილი იქნება დღევანდელი მდგომარეობა ულტრამემარჯვენე ტერორიზმის თვალსაზრისით. ამის შემდეგ ერთის მხრივ დახასიათებული იქნება ის ინტერნეტსივრცეები სადაც ულტრამემარჯვენე ძალადობრივი პროპაგანდა ინტენსიურად მიმდინარეობს, ასევე ამ სივრცეებში არსებული კონტენტი და ამ კონტენტის სამიზნე აუდიტორიები. მეორეს მხრივ კი, მოხდება იდენტობის ჩამოყალიბების პროცესისა და უკვე არსებული სტრატეგიების ანალიზი და შეფასება. ანალიტიკური ნაწილის დასასრულს კი, დაისახება ახალი სტრატეგიები არსებულ სივრცეებში გავრცელებულ პროპაგანდასთან საბრძოლველად.

3.1 ულტრამემარჯვენე ტერორიზმის იდეოლოგიური პოსტულატები

ინტერნეტსივრცეების ანალიზის დაწყებამდე მნიშვნელოვანია შეიქმნას ხედვა ულტრამემარჯვენე ძალადობრივი იდეოლოგიების შესახებ, რათა მოხდეს ინტერნეტში მსგავსი იდეოლოგიური პროპაგანდის სიძულვილის ენისგან გარჩევა . ულტრამემარჯვენე ტერორიზმის იდეოლოგიური პოსტულატების დახასიათება გავრცელებული განცხადებების დახარისხებასა და შესწავლაში დაგვეხმარება.

როგორც ტერმინი „ულტრამემარჯვენე ტერორიზმიდან“ ჩანს, ასეთი ტიპის ტერორიზმი იდეოლოგიურად რადიკალური მემარჯვენე პოლიტიკური შეხედულებებიდან საზრდოობს. აქედან გამომდინარე, ულტრამემარჯვენე იდეოლოგიების ხსენებისას ადამიანებს ხშირად უჩნდებათ ასოციაციები ნაციზმისა და ფაშიზმის მიმართ, რაც სავსებით სწორია. თუმცა, გარდა მოცემული იდეოლოგიებისა, ულტრამემარჯვენე იდეოლოგიებში ასევე შეგვიძლია

გავაერთიანოთ ისეთი მიმართულებები, როგორებიცაა თეთრი სუპრემატიზმი, თეთრი ნაციონალიზმი, ულტრანაციონალიზმი, შოვინიზმი, რასიზმი, ქსენოფობია და ჰომოფობია.

საინტერესოა, რომ Covid-19-მა გარკვეულწილად გააქტიურა ქსენოფობიური და რასისტული დამოკიდებულება ჩინელებისა და აზიელების მიმართ, რაც გარკვეულწილად აისახება ინტერნეტსივრცეებში გავრცელებულ განცხადებებში. პანდემიის გავლენა ინტერნეტსივრცეებში განთავსებული მასალის მიმართ ასევე გაანალიზირებულია ანალიტიკურ ნაწილში.

ამრიგად, ულტრამემარჯვენე ძალადობრივი იდეოლოგიები წარმოადგენენ მსოფლმხედველობრივი და პოლიტიკური შეხედულებების ფართო სპექტრს, რომელიც საერთო ჯამში ცდილობს ხაზი გაუსვას საკუთარი ჯგუფის სხვა ჯგუფების მიმართ უპირატეს პოზიციას და რადიკალური გზებით ებრძოლოს მათ.

3.2 ულტრამემარჯვენე ტერორიზმი დღეს

როგორც უკვე ითქვა, რიგი ანგარიშების მიხედვით ულტრამემარჯვენე ტერორიზმი, დღეისათვის, საერთაშორისო საზოგადოებისათვის მზარდ საფრთხეს წარმოადგენს.

ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტის ყოველწლიური ანგარიშის, *Global Terrorism Index 2020,* მიხედვით 2002-2019 წლებში მსოფლიოში ულტრამემარჯვენე იდეოლოგიით მოტივირებული ტერორისტული თავდასხმების ჯამური რაოდენობა 332 აღწევს. მოცემული თავდასხმების შედეგად ჯამში 286 ადამიანი დაიღუპა.[8] წარმოდგენილი სტატისტიკის

[8] Institute for Economics and Peace (2020). *Global Terrorism Index 2020. Measuring The Impact of Terrorism.* გვ. 63. ბოლო ნახვა: 25 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https://visionofhumanity.org/wp-content/uploads/2020/11/GTI-2020-web-1.pdf

მიხედვით, ულტრამემარჯვენე ტერორიზმის კუთხით ყველაზე მწვავე მდგომარეობაა ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში. [9] (იხ. დანართი 1).

დანართი 1. ულტრამემარჯვენე ტერორისტული თავდასხმების დანაწილება ქვეყნების მიხედვით 2002-2019 წლებში. წყარო: Institute for Economics and Peace.



ამავე ანგარიშზე დაყრდნობით, მომაკვდინებლობის მიხედვით ულტრამემარჯვენე ტერორისტული იდეოლოგიებით მოტივირებულ აქტებს, რელიგიური ტერორისტული თავდასხმების შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს. 1970-2019 წლების პერიოდში იმ ულტრამემარჯვენე ტერორისტული თავდასხმების რიცხვი, რომელთა დროსაც სიკვდილიანობა 10-ს აღემატებოდა, 13-ს შეადგენს.[10] (იხ. დანართი 2)

დანართი 2. ტერორისტული თავდასხმები, რომელთა დროს დაღუპულთა რიცხვი 10-ს აღემატებოდა.

[9] ^ იქვე, გვ. 63.
[10] ^იქვე, გვ. 64.



როგორც ითქვა, უკანასკნელ წლებში ულტრამემარჯვენე ტერორისტულ აქტებს 320%-იანი ზრდა ჰქონდათ, საიდანაც, უდიდესი წილი 2020 წელზე მოდის. საინტერესოა ისიც, რომ უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში 1970-2019 წლების პერიოდში ხსენებული ტიპის ტერორიზმის ზრდა მხოლოდ 250%-ს შეადგენდა.[11] 2020 წელს ამ რაოდენობის ზრდაში თავისი წვლილი უნდა ეთამაშა პანდემიური სიტუაციის ფაქტორსაც, რომელმაც კიდევ უფრო გააქტიურა ინტერნეტსივრცეებში ულტრამემარვჯენე ძალადობრივი იდეოლოგიების პროპაგანდირების პროცესი. (იხ. დანართი 3).

დანართი 3. ულტრამემარჯვენე ტერორისტული იდეოლოგიებით მოტივირებული თავდასხმების ზრდა 1970-2019 პერიოდში.

[11] ^ იქვე, გვ. 62.



ულტრამემარჯვენე ტერორიზმის კუთხით დღევანდელი ვითარების დახასიათებისას უნდა ვახსენოთ ის ფაქტიც, რომ აქტების თითქმის 60%-ი არააფილირებულ პირთა მიერ ხორციელდება,[12] რაც განსაკუთრებით რთულს ხდის ძალადობრივი გეგმების გამოვლენასა და მათ აღკვეთას. (იხ. დანართი 4).

დანართი 4. ტერორისტული აქტები აფილირებულობის მიხედვით.

[12] ^იქვე, გვ. 64



Source: START GTD, IEP calculations

ულტრამემარჯვენე ტერორიზმი უფრო მტკიცედ დასავლეთში იკიდებს ფეხს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ისეთი ძალადობრივი დაჯგუფებები, როგორებიცაა *Boogaloo* და *Proud Boys* რიგ წყაროებში განსაკუთრებულ საფრთხედ არიან მოხსენიებული. [13]

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ტიპის ტერორიზმის ძირითადი არეალი დასავლეთ სამყაროა, იგი ხშირად სცილდება გეოგრაფიულ არეალს და შეიძლება სხვა სახელმწიფოებსაც შეუქმნას საფრთხე. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ახალ ზელანდიაში განხორციელებული ულტრამემარჯვენე ტერორისტული აქტების შედეგად 51 ადამიანი გარდაიცვალა. (იხ. დანართი 1).

[13] Beran, D. (2020). *The Boogaloo Tipping Point. What Happens When A Meme Becomes A Terrorist Movement.* The Atlantic. ბოლო ნახვა: 25 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https://www.theatlantic.com/technology/archive/2020/07/american-boogaloo-meme-or-terrorist-movement/613843/

ამრიგად, მოცემულ მონაცემებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ულტრამემარჯვენე ტერორიზმი საერთაშორისო საზოგადოების საკმაოდ რთულ და სწრაფად მზარდ გამოწვევას წარმოადგენს.

3.3 ულტრამემარჯვენე იდეოლოგიური პროპაგანდის ინტერნეტსივრცეები

წინამდებარე პარაგრაფის მიზანია აღწეროს ულტრამემარჯვენე იდეოლოგიური პროპაგანდის ინტერნეტსივრცეები, ასევე Covid-19-ის გავლენა მოცემულ სივრცეებზე. გაანალიზოს ამ სივრცეებში გავრცელებული კონტენტი და განსაზღვროს ასეთ სივრცეებში სამიზნე აუდიტორიები და მოწყვლადი ჯგუფები.

3.3.1 ულტრამემარჯვენე ძალადობრივი პროპაგანდისათვის გამოყენებული სოციალური ქსელები

სოციალური ქსელების ტერორისტული და ძალადობრივი შეტყობინებებისა და პროპაგანდისათვის გამოყენება განპირობებულია ასეთი პლატფორმების ისეთი მახასიათებლებით, როგორიცაა მასშტაბურობა, შეტყობინებათა ლიკვიდურობა, წვდომა ყველა სახის სოციალურ ჯგუფზე, აქტუალურობა, უნივერსალურობა და თავად ამ პლატფორმების პოლიტიკა, რაც ხშირ შემთხვევაში გავრცელებულ პროპაგანდაზე პოსტფაქტუმ რეაქციას გულისხმობს. გამომდინარე იქიდან, რომ ინტერნეტსივრცეები, სადაც მსგავსი პროპაგანდა ვრცელდება ძირითადად სოციალური ქსელის ტიპის პლატფორმებს წარმოადგენს, წინამდებარე პარაგრაფში აღწერილია ეს უკანასკნელი. მათ შორის, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეირჩა შემდეგი სოციალური ქსელებ: **Facebook, Instagram, Whatsap, Twitter, Parler, Gab.**

[Facebook]

სტუდენტურ პროექტად ჩაფიქრებული სოციალური პლატფორმა დღეისათვის არამარტო ყველაზე დიდ სოციალურ ქსელს, არამედ იდეოლოგიური პროპაგანდისათვის ყველაზე

ეფექტურად გამოყენებულ პლატფორმასაც წარმოადგენს.[14] ეს გარკვეულწილად მისი სპეციფიკურობითაა განპირობებული. უპირველესყოვლისა Facebook-ი სხვადასხვა სახის კონტენტის გავრცელების საშუალებას იძლევა, რაც ვიზუალური მასალის გავრცელებასაც გულისხმობს. ვიზუალური მასალის ერთი შეხედვით ისეთი უწყინარი ტიპის, როგორიც ე.წ Meme-ბია, გამოყენება და მისი მეშვეობით პროპაგანდის პროცესის წარმოების საინტერესო პრეცენდენტი ფიქსირდება ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ულტრამემარჯვენე დაჯგუფება Boogaloo meme-ებს აქტიურად იყენებს არამხოლოდ საკუთარი ორგანიზაციის აქტუალიზაციისათვის, არამედ საკუთარ სიმბოლოებადაც კი. დასახელებული ორგანიზაცია ხშირად საკუთარ სიმბოლოდ იყენებს Meme-ს სახელწოდებით *"Pepe the Frog"*.[15]

• არანაკლებ მნიშვნელოვანია Facebook-ის მასშტაბის გათვალისწინება, რომელიც 2019 წლისათვის Playstore-იდან ყველაზე ხშირად გადმოწერილი აპლიკაციების პირველ ოთხეულს ფლობს, რაც თავისთავად Whatsapp, Messenger და Instagram აპლიკაციებსაც გულისხმობს. [16]

• საინტერესოა, რომ მოცემული პლატფორმები იმდენად მრავალფუნქციური არ არიან და Instagram-ის შემთხვევაში ვიზუალური მასალის, ხოლო Whatsapp და Messenger-ის შემთხვევაში მოკლეტექსტური შეტყობინებებისათვის გამოიყენებიან.

• საგულისხმოა ისიც, რომ რიგი ულტრამემარჯვენე დაჯგუფებები იდეოლოგიურ პროპაგანდას 2018 წლამდე Instagram და Facebook პლატფორმების საშუალებით ახორციელებდნენ. [17]

---

[14] Young. G.D. (2020). *Mass Propaganda Used to Be Difficult, But Facebook Made It Easy.* The Washington Post. ბოლო ნახვა: 25 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https://www.washingtonpost.com/outlook/2020/02/14/mass-propaganda-used-be-difficult-facebook-made-it-easy/

[15] n,d. The Wired (2020). *The Meme-Fueled Rise of a Dangerous, Far-Right Militia.* ბოლო ნახვა: 25 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https://www.wired.com/story/boogaloo-movement-protests/

[16] Shead, S. (2019). *Facebook Owns The Four Most Downloaded Apps Of The Decade.* BBC News. ბოლო ნახვა: 25 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https://www.bbc.com/news/technology-50838013

[17] Matthews, K. (2018). *Facebook, Instagram Ban Far-Right Proud Boys and Founder.* AP News. ბოლო ნახვა: 25 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https://apnews.com/article/2714b6a697d34f59982c398a235858e7

[**Twitter]**

მიუხედავად იმისა, რომ Twitter-ის სპეციფიკა გარკვეულწილად განსხვავდება Facebook-ისაგან, არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი ამ სპეციფიკურობის გამოვლენა, რაც ძირითადად დაკავშირებულია მასში არსებული აუდიტორიასთან. ცნობილი პირების აქტიურობა შედარებით უფრო მაღალია Twitter-ზე ვიდრე Facebook-ზე. რიგი პოლიტიკური ლიდერები ამ პლატფორმას მნიშვნელოვანი სიახლის გასავრცელებლად იყენებენ. საინტერესოა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების 45-ე პრეზიდენტი, დონალდ ტრამპი, არაერთხელ იქნა დადანაშაულებული რასისტული პოსტების გავრცელებაში.[18]

[**Parler & GAB]**

სოციალური ქსელები Parler (2018) და Gab (2016) სოციალური ქსელის პროექტებს წარმოადგენენ, რომელიც უფრო ადგილობრივი ხასიათისაა და მისი ძირითადი მომხმარებლები ამერიკის მოქალაქეები არიან. 2016 წელს დაწყებული პროექტი GAB დღეისათვის სუპრემატისტების, ნეო-ნაცისტებისა და სხვა ულტრამემარჯვენეების თავშესაფრად იქცა. იგივე სპეციფიკურობა ახასიათებს 2018 წელს დაწყებულ ქსელ Parler-საც, რომლის ძირითად აუდიტორიას ულტრამემარჯვენე იდეოლოგიის მქონე პიროვნებები წარმოადგენენ. [19]

უნდა ითქვას, რომ მოცემული სია არასრულია, თუმცა ნაშრომში განხილულია ისეთი პოპულარული სოციალური ქსელები, რომლებში გამოვლენილი ტენდენციებიც ულტრამემარჯვენე პროპაგანდის მხრივ მოიცავს სხვა სოციალურ ქსელებში გამოვლენილ ტენდენციებსაც. ამრიგად, ამ პლატფორმებზე არსებული კონტენტის შესწავლა დაგვეხმარება ძალადობრივი იდეოლოგიის პროპაგანდის უკეთ აღქმაში.

---

[18] n,d. The New York Times (2020). *Trump Retweets Racist Video Showing Supporter Yelling "White Power"*. ბოლო ნახვა: 25 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https://www.nytimes.com/2020/06/28/us/politics/trump-white-power-video-racism.html

[19] N,d. The Conversation (2020). *Parler is bringing together mainstream conservatives, anti-Semites, and White Supremacists as the social media platform attracts millions of Trump Supporters*. ბოლო ნახვა: 25 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https://theconversation.com/parler-is-bringing-together-mainstream-conservatives-anti-semites-and-white-supremacists-as-the-social-media-platform-attracts-millions-of-trump-supporters-150439

3.3.2 პანდემიის გავლენა ძალადობრივი იდეოლოგიური პროპაგანდისათვის გამოყენებულ ინტერნეტსივრცეებზე

მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტსივრცეები აქამდეც გამოიყენებოდა ულტრამემარჯვენე ძალადობრივი იდეოლოგიური პროპაგანდის განსახორციელებლად, Covid-19-მა თავისი გავლენა იქონია ხსენებულ სოციალურ ქსელებზე. პანდემიის დროს გაჩენილი შეზღუდვების შედეგად გაჩნდა მზარდი მოთხოვნა ინტერნეტ-სერვისებზე და შესაბამისად ინტერნეტის მოხმარების კუთხითაც მოხდა გარკვეული ზრდა. 2019 წელს ინტერნეტის მომხმარებლების რიცხვი 4 131 000 000 იყო[20], იგივე მაჩვენებელი 2020 წლის ოქტომბრის მონაცემების მიხედვით 4 660 000 000 შეადგენდა, რაც ნახევარმილიარდიან ზრდას გულისხმობს. [21] (იხ. დანართი 5/6)

დანართი 5. *ინტერნეტის მოხმარება 2005-2019 წლებში.* წყარო: Statista.



დანართი 6. *ინტერნეტის მოხმარება 2020 წელს.* წყარო: Statista

[20] Statista (2019). *Number of Internet Users Worldwide from 2005 to 2019.* ბოლო ნახვა: 25 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https://www.statista.com/statistics/273018/number-of-internet-users-worldwide/

[21] Statista (2020). *Global Digital Population as of October 2020.* ბოლო ნახვა: 25 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https://www.statista.com/statistics/617136/digital-population-worldwide/



მსგავსი შედეგი იქონია პანდემიამ იმ ინტერნეტსივრცეებზეც, სადაც ხორციელდება ულტრამემარჯვენე იდეოლოგიური პროპაგანდა. Facebook-ის ყოველწლიური ანგარიში, 2020 წლის მესამე კვარტალში მომხმარებლების ყოველდღიურ აქტიურობაში 12%-იან ზრდაზე მიუთითებს. [22]

მსგავსი ტენდენციები შეიმჩნევა, არამხოლოდ Facebook-ის არამედ სხვა ზემოთ დასახელებული სოციალური ქსელების შემთხვევაშიც.

გარდა ამისა, პანდემიამ გარკვეული გავლენა მოახდინა სოციალურ ქსელებში არსებული ძალადობრივი იდეების პროპაგანდაზეც. საინტერესოა, რომ ხსენებულ სოციალურ ქსელებში, 2020 წელს, მოიმატა რასისტული და ქსენოფობიური შინაარსის შემცველმა პოსტებმა აზიელების და ჩინელების მიმართ. [23]

---

[22] n,d. Facebook (2020). *Facebook Reports Third Quarter 2020 Results.* ბოლო ნახვა: 25 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია https://investor.fb.com/investor-news/press-release-details/2020/Facebook-Reports-Third-Quarter-2020-Results/default.aspx#:~:text=Facebook%20daily%20active%20users%20(DAUs,%25%20year%2Dover%2Dyear.

[23] N,d. Human Rights Watch (2020). *Covid-19 Fueling Anti-Asian Racism and Xenophobia Worldwide.* ბოლო ნახვა: 25 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https://www.hrw.org/news/2020/05/12/covid-19-fueling-anti-asian-racism-and-xenophobia-worldwide

ამრიგად, პანდემიამ არამხოლოდ გააქტიურა სოციალური ქსელები ულტრამემარჯვენე იდეოლოგიური პროპაგანდის კუთხით, არამედ გაზარდა მისი აუდიტორია და შესაბამისად მასში არსებული დაუცველი და მოწყვლადი ჯგუფებიც, რაც კიდევ უფრო სახიფათოს ხდის მოცემული სახის პროპაგანდას.

3.3.3 ულტრამემარჯვენე ძალადობრივი იდეოლოგიის პროპაგანდის სამიზნე აუდიტორია და დაუცველი ჯგუფები

დასახელებული სოციალური პლატფორმების პოლიტიკა მომხმარებლების კონფიდენციალური ინფორმაციის შენახვას გულისხმობს და არ აქვეყნებს სტატისტიკურ მონაცემებს მომხმარებლების რასისა და ეთნიკური წარმომადგენლობის შესახებ. ამრიგად, ულტრამემარჯვენე ძალადობრივი იდეოლოგიის მიმართ მოწყვლადი ჯგუფების დადგენა ინტერნეტსივრცეში რთულ ამოცანას წარმოადგენს. თუმცა, თითოეული სოციალური ქსელი, მისი აუდიტორიის თვალსაზრისით, ხასიათდება გარკვეული ტენდენციურობით, რომელზე დაკვირვებაც გვაძლევს საშუალებას ვისაუბროთ ამ სივრცეებში დაუცველი ჯგუფების შესახებ.

საინტერესოა, რომ სოციალური ქსელები, მიუხედავად მათი მსგავსებისა, გამოირჩევიან თემატურობით, რაც გულისხმობს, იმას, რომ მათში არსებული აუდიტორიები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან შეხედულებების, ასაკის, ფინანსური მდგომარეობისა და სხვა მაჩვენებლების მიხედვით. მაგალითად, 2020 წლის ნოემბრისათვის, Facebook-ის მომხმარებლების 59 პროცენტს წარმოადგენენ ადამიანები, რომელთა ასაკიც 18-45 წლამდეა.[24] გარდა ამისა, ამავე სოციალური ქსელში 2019 წელს, აქტიურობის კუთხით ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველ ადგილზე თეთრკანიანი მამაკაცები იყვნენ. [25] (იხ. დანართი 7/8)

---

[24] N,d. Statista (2020). *Distribution of Facebook Users in the United States as of November 2020, by age group.* ბოლო ნახვა: 25 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https://www.statista.com/statistics/187549/facebook-distribution-of-users-age-group-usa/

[25] N,d. Statista (2020). *Percentage of adults in the United States who use social networks as of February 2019, by ethnicity.* ბოლო ნახვა: 25 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https://www.statista.com/statistics/471434/us-adults-who-use-social-networks-ethnicity/

დანართი 7. *Facebook -ის მომხმარებლები ამერიკის შეერთებულ შტატებში ასაკის მიხედვით. წყარო: Statista*



დანართი 8. *Facebook-ის მოხმარება ეთნიკურობის მიხედვით ამერიკის შეერთებულ შტატებში. წყარო: Statista*.



ამრიგად შეიძლება ითქვას, რომ სტატისტიკურად ულტრამემარჯვენე ძალადობრივი პროპაგანდის მიმართ Facebook-ზე მოწყვლად ჯგუფებს საშუალო სტატისტიკური

თეთრკანიანი ამერიკელი მამაკაცები წარმოადგენენ, რომელთა ასაკიც 18-45 წლამდეა.

არანაკლებ საინტერესოა სხვა პლატფორმებზე არსებული მოწყვლადი ჯგუფები. ისეთი პლატფორმები როგორებიცაა Instagram, სათამაშო პლატფორმა Twitch და სხვა მსგავსი სოციალური პლატფორმები ახალგაზრდა ადამიანების აქტიურობით გამოირჩევა. შესაბამისად მოცემულ პლატფორმებზე დაუცველ აუდიტორიას სწორედ 18-34 წლამდე ახალგაზრდები წარმოადგენენ. Instagram-ზე ამ ასაკობრივი კატეგორიის საერთო წილი, მომხმარებელთა მთლიანი რაოდენობის 62,7 პროცენტია.[26] ამრიგად, მსგავს პლატფორმებეზე ულტრამემარჯვენე იდეოლოგიური პროპაგანდა გათვლილია სწორედ ამ კატეგორიის აუდიტორიაზე და შესაბამისად, შინაარსობრივადაც განსხვავდება. (იხ. დანართი 9)

დანართი 9. *Instagram-ის მომხმარებელთა განაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით.* წყარო: Statista



მსგავსი ტენდენციები ვლინდება Twitter-ის შესწავლისას, ხოლო ისეთი სოციალური ქსელები, როგორებიცაა Parler და Gab, ძირითადად ულტრამემარჯვენე აუდიტორიის სიჭარბით

[26] N,d. Statista (2020). *Distribution of Instagram Users Worldwide as of October 2020, by age and gender.* ბოლო ნახვა: 25 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https://www.statista.com/statistics/248769/age-distribution-of-worldwide-instagram-users/

გამოირჩევია და შეიძლება ითქვას მზარდ, მაგრამ ერთგვარ „დახურულ კლუბსაც“ კი წარმოადგენენ.

ამრიგად, მოყვანილ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ თითოეული სოციალურ პლატფორმა გამოირჩევა განსხვავებული აუდიტორიით, რაც გულისხმობს განსხვავებას სქესს, ასაკსა და სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსს შორის. ულტრამემარჯვენე ძალადობრივი პროპაგანდის განხორციელებისას სწორედ ეს ფაქტორებია გათვალისწინებული და პროპაგანდის ხასიათი და განხორციელების გზებიც სწორედ ამ პლატფორმებზე არსებული მომხმარებლების თანაფარდობის მიხედვით ირჩევა.

3.3.4 ულტრამემარჯვენე ძალადობრივი პროპაგანდის კონტენტ- და ინვენტ-ანალიზი ინტერნეტსივრცეებში

სოციალურ სივრცეებში მოწყვლადი ჯგუფების განსაზღვრის შემდეგ მნიშვნელოვანია, მოხდეს მათზე მოქმედი პროპაგანდის კონტენტ- და ინვენტ-ანალიზი, რაც გულისხმობს სოციალურ ქსელებში ულტრამემარჯვენე იდეოლოგიის მქონე პირების/ჯგუფების მიერ გავრცელებული განცხადებების შინაარსის სტატისტიკურ და შინაარსობრივ შესწავლას. ანტისემიტიზმის შემსწავლელი არაკომერციული ჯგუფ, ADL-ის, მიერ გავრცელებული სტატისტიკის მიხედვით სიძულვილის ენასთან ხშირად ასოცირებული სიტყვებია: Women, Black, Jew, White, Immigrant, Race, Nation, Hate, Society და ა.შ. (იხ. დანართი 10)

დანართი 10. *სიძულვილის ენასთან ხშირად ასოცირებული სიტყვები.* წყარო: ADL



მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული პლატფორმები არ გასცემენ ისეთ ინფორმაციას, როგორიცაა მომხმარებლების მიერ ყველაზე ხშირად გამოყენებული სიტყვები, ულტრამემარჯვენე იდეოლოგიის მქონე ჯგუფების/პირების ან მათთან აფილირებული პირების მიერ გავრცელებული პროპაგანდა გარკვეული ენობრივი ტენდენციებით ხასიათდება. (იხ.დანართი 11)

დანართი 11. სიძულვილის ენის შემცველი განცხადებები სოციალურ პლატფორმებზე. წყარო: n.d.

მიუხედავად იმისა, რომ მოცემული განცხადებები მხოლოდ მცირედი ნაწილია ინტერნეტში გავრცელებული განცხადებებისა, ზოგიერთი მათგანი hate speech-ის მაგალითს, ზოგიც კი პირდაპირ ძალადობისაკენ მოწოდებას წარმოადგენს. როგორც უკვე ითქვა, მსგავს განცხადებებს ახასიათებს გარკვეული სინტაქსური და ლექსიკური მახასიათებლები, რომლის შესახებაც განცხადებებთან გაცნობის შემდეგ შეგვიძლია შემდეგი სახის დასკვნები გავაკეთოთ:

• გავრცელებული განცხადებები, როგორც წესი შეიცავენ ადრესატის დასახელებას. ხშირად მოცემული სამიზნის ვიზუალურად გამოსარჩევად გამოიყენება ე.წ Capital Letters, Hashtag ან ყურადღების მიქცევის სხვა საშუალებები;

• გავრცელებული განცხადებები ახდენს საზოგადოების სეგრეგაციას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ხშირად ულტრამემარჯვენე ძალადობრივ განცხადებებში გვაქვს ფორმულირება ჩვენ/სხვა;

• განცხადებებში ხშირადაა გამოყენებული აგრესიის გამომხატველი სიტყვები;

• გავრცელებულ განცხადებებში ხშირად განცხადების ტონით ან პირდაპირ გათვალისწინებულია მითითება ძალადობის განხორციელების სიმარტივესა და მისი განხორციელების შედეგად მიღებულ სარგებელზე[27] რაც დაუსჯელობის შეგრძნებას აძლიერებს ამ განცხადებების სამიზნე ჯგუფებში.

[27] *"სარგებლები" შეიცვლება იცვლებოდეს მოწოდებული განსახორციელებელი ძალადობისა და სამიზნე აუდიტორიების მიხედვით*

3.4 ულტრამემარჯვენე ექსტრემისტული იდენტობის ჩამოყალიბება ინტერნეტსივრცეებში

წინამდებარე პარაგრაფის მიზანია ინტერნეტსივრცეების და მათში გავრცელებული ულტრამემარჯვენე ძალადობრივი პროპაგანდის დახასიათების შემდეგ, სოციოლოგიის მეცნიერებაში დამკვიდრებული ტერმინებითა და კონცეფციებით ახსნას ინტერნეტსივრცეებში პროპაგანდის შედეგად იდენტობის ჩამოყალიბების პროცესი. ამრიგად, მოცემული პარაგრაფი მიმოიხილავს ენის ელემენტებს და მის როლს ულტრამემარჯვენე პროპაგანდის წარმატებაში. ასევე მოიცავს მსჯელობას პიროვნებებში იდენტობის ჩამოყალიბების ისეთ პროცესებზე, როგორიცაა სოციალიზაცია და სოციალური კატეგორიზაცია და მიუთითებს კავშირზე ულტრამემარჯვენე იდენტობასა და ულტრამემარჯვენე იდეოლოგიით მოტივირებულ ძალადობრივ/ტერორისტულ აქტს შორის.

3.4.1 ენა, როგორც ულტრამემარჯვენე ძალადობრივი იდეოლოგიის პროპაგანდის წარმატების იარაღი

სოციოლოგიაში „ენის“ შესწავლას საკმაოდ დიდი ყურადღება ეთმობა. ფილოლოგიისაგან განსხვავებით, სოციოლოგიაში ყურადღება არამხოლოდ მის გრამატიკულ, ლექსიკურ თუ სემანტიკურ მაჩვენებლებს, არამედ ამ ყველა მაჩვენებლისა და ენის მომხმარებელი ჯგუფის კულტურას შორის კავშირებს ეთმობა. როგორც უკვე ითქვა, ენა კულტურულ წარმონაქმნს წარმოადგენს, რომელიც შეგვიძლია ერთგვარ სისტემად მივიჩნიოთ. მას აქვს უნარი მიმდინარე სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური პროცესების პარალელურად შეიცვალოს, თუმცა ასევე აქვს უნარი მოახდინოს გავლენა მსგავს პროცესებზე, - სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თავად შეცვალოს ისინი.

მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტსივრცეებში გავრცელებული განცხადებები ხშირ შემთხვევაში პრიმიტიული სახისაა ლექსიკური თვალსაზრისით, ისინი გარკვეულწილად

მაინც მოქმედებენ ადამიანის ცნობიერებაზე ულტრამემარჯვენე რადიკალური იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში.

თუმცა, ერთობ მნიშვნელოვანია გავმიჯნოთ ე.წ სიძულვილის ენის შემცველი განცხადებები და ულტრამემარჯვენე იდეოლოგიური პროპაგანდა ინტერნეტსივრცეებში. მათ შორის მთავარი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ სიძულვილის ენა პრიმიტიული, ზოგჯერ ერთჯერადი ხასიათისაა, ხოლო ულტრამემარჯვენე იდეოლოგიური პროპაგანდის ენობრივი მექანიზმები კი უფრო სისტემური და კომპლექსური ბუნებით ხასიათდებიან. ამის შესაბამისად, მათი ეფექტურობის მასშტაბი განსხვავებულია, თუმცა, ორივე მათგანი დიდ გავლენას ახდენს ინტერნეტსივრცეებში არსებულ დაუცველ ჯგუფებზე.

ულტრამემარჯვენე ძალადობრივ პროპაგანდაში ენის კომპლექსური ასპექტების გამოყენება როგორც წესი ემსახურება გარკვეულ მიზნებს. უპირველეს მიზანს, როგორც წესი, დაუცველი აუდიტორიის წევრებში მათთვის უცხო ლექსიკური[28] მახასიათებლების დამკვიდრებაა. მოცემული მექანიზმის ახსნა შესაძლებელია ბურდიეს შრომებზე დაყდნობით სოციალური სივრცის შესახებ. ბურდიეს მიხედვით ენა ხშირად შეიძლება წარმოადგენდეს იმ მექანიზმს, რომლითაც ადამიანი შეიცნობს სამყაროს და აგებს მისთვის მისაღებ სოციალურ სივრცეს, ანუ რეალობას.[29] ამრიგად, საწყის ეტაპზე ენის მსგავსი მექანიზმების გამოყენება ემსახურება დაუცველ ჯგუფებში მისთვის ჩვეული სოციალური რეალობის შეცვლის დაწყებას.

ულტრამემარჯვენე ძალადობრივი იდეოლოგიების პროპაგანდირებაში ენობრივი მექანიზმის გამოყენების მეორე მიზანს წარმოადგენს ადამიანის რესოციალიზაცია, ანუ ხელახალი სოციალიზაცია, რომლის მიზანია იმ წეს-ჩვეულებების შესწავლა, რომელთა დამორჩილებასაც

[28] *უცხო ლექსიკური მახასიათებლები* გულისხმობს ისეთ სიტყვებსა და ენობრივ ელემენტებს, რომლებსაც დაუცველი აუდიტორიის წევრები აქამდე აქტიურად არ გამოიყენებდნენ.

[29] Bourdieu. P (1982). *Langauge and Symbolic Power.*

ულტრამემარჯვენე იდეოლოგიის მქონე საზოგადოება ადამიანისაგან მოელის.[30] გარკვეული ლექსიკური მახასიათებლების შეძენის შემდეგ, მოწყვლადი ჯგუფები ინტერნეტსივრცეში იწყებენ სოციალიზაციის პროცესს, რაც გულისხმობს მათ მიერ მცირე აქტიურობის გამოჩენას და ჯგუფის წევრებთან პირდაპირი თუ არაპირდაპირი კონტაქტის დამყარებას. საინტერესოა, რომ ამ ეტაპზე ადამიანებს აქვთ ურთიერთობის მარტივად დამყარების შეგრძნება.

ენის მექანიზმი, შემდეგ ეტაპზე, სეგრეგაციის მიზნით გამოიყენება. სწორედ აქ მთავრდება სოციალიზაციის პროცესი და იწყება სოციალური კატეგორიზაციის პროცესი. სოციალური კატეგორიზაცია წარმოადგენს ადამიანის მიერ მისი გარემომცველი სამყაროს კატეგორიზაციას ჯგუფებად: „ჩვენ/სხვა“ – „მე/სხვა“. სწორედ ამ მიზნით ხდება განხეთქილების გაჩენა ულტრამემარჯვენე ძალადობრივი ჯგუფების სამიზნეებსა და ინტერნეტსივრცეებში პროპაგანდის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ჯგუფებს შორის. აღნიშნულს იდეოლოგიური პროპაგანდის პროცესში ულტრამემარჯვენე ჯგუფები/პიროვნებები ხშირად ისეთი სტილის განცხადებებით ახორციელებენ, რომელთა შინაარსიც გულისხმობს პროპაგანდის სამიზნე აუდიტორიის უპირატესობის ხაზგასმას ულტრამემარჯვენე ჯგუფების ძალადობის სამიზნე ჯგუფებთან მიმართებაში. ეს შეიძლება შესრულდეს ისეთი საშუალებებით, როგორიცაა დაუსჯელობის შეგრძნების წახალისება, ძალადობის სიმარტივის ხაზგასმა და მცდარი ინფორმაციის მიწოდება მოწყვლადი ჯგუფებისათვის.

ძალადობრივი იდენტობის ჩამოყალიბების ბოლო ეტაპზე, რაც გულისხმობს სოციალური კატეგორიზაციის პროცესის დასრულებას, რომლის შედეგადაც ადამიანი უკვე აღიქვამს თავს ულტრამემარჯვენე ექსტრემისტად, ხორციელდება პირდაპირი მოწოდება ძალადობისკენ. ამ დროს ენობრივი მექანიზმის ელემენტები შეიმჩნევა როგორც მოწოდებებისათვის დამახასიათებელ მბრძანებლურ ტონში (ახასიათებს სისტემატიზირებულ პროპაგანდას), ასევე -მეგობრულ მოწოდებაში (ახასიათებს იძულების ენის შემცველ პოსტებს).

ამრიგად, როგორც ჩანს ენობრივი მექანიზმები ულტრამემარჯვენე რადიკალური იდენტობის ჩამოყალიბების ყველა ეტაპზე გვხვდება და თითოეული ეტაპისთვის განსხვავებულია

[30] Webster’s Dictionary. (n,d.) *Socialization*. ბოლო ნახვა: 25 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https://www.merriam-webster.com/dictionary/socialization

მიზნებისა და გამოყენებული მექანიზმების მიხედვით. ენის გავლენის წარმოდგენა მოცემულ პროცესზე შეგვიძლია წრფიული მოდელით წარმოვიდგინოთ. (იხ. დანართი 12)

დანართი 12. *ენის გავლენა ულტრამემარჯვენე იდენტობის ჩამოყალიბების პროცესის სხვადასხვა ეტაპზე.*



3.4.2 ულტრამემარჯვენე ძალადობრივი პროპაგანდის შედეგად დაწყებული სოციალიზაციის, სოციალური კატეგორიზაციის პროცესები

როგორც უკვე ითქვა, ინტერნეტსივრცეებში განხორციელებული ულტრამემარჯვენე ძალადობრივი პროპაგანდის შედეგად იდენტობის ჩამოყალიბებას წინ უძღვის სოციალიზაციისა და სოციალური კატეგორიზაციის პროცესები. ამრიგად, მნიშვნელოვანია განვიხილოთ ეს ორი პროცესი. იქიდან გამომდინარე, რომ მოცემული პროცესები მომიჯნავეა და ხშირ შემთხვევაში ერთმანეთის პარალელურად მიმდინარეობს, მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ თუ როდის მთავრდება ერთი და იწყება მეორე. ამის განსაზღვრა დაგვეხმარება მსგავსი პროპაგანდის გავლენის ქვეშ მოქცეული პირის უკეთ დახმარებაში.

როგორც წინა თავიდან ჩანს, წინამდებარე კვლევაში ულტრამემარჯვენე ძალადობრივი იდენტობის ჩამოყალიბების პროცესი წრფივ მოდელს წარმოადგენს. ამრიგად, უმნიშვნელოვანესია დავსახოთ ის პირობითი საზღვრები, რომლებიც დაგვეხმარება ადამიანის იდენტობის ჩამოყალიბების კონკრეტული ეტაპის განსაზღვრის პროცესში, ინტერნეტსივრცეში მისივე აქტიურობის მიხედვით.

I ეტაპი (ენობრივი ელემენტების შეძენა) - მოწყვლადი და დაუცველი ჯგუფები ამ დროს ინტერნეტსივრცეებში ძირითადად გაცნობითი სახის აქტივობით არიან დაკავებული. ამ დროს ისინი პირველად ეცნობიან ულტრამემარჯვენე იდეოლოგიას. სოციალურ ქსელებში მოცემული ეტაპის ინდიკატორი შეიძლება იყოს ულტრამემარჯვენე იდეოლოგიურ ჯგუფებში გაწევრიანება, მსგავსი იდეოლოგიის მქონე გვერდების დათვალიერება, მსგავსი იდეოლოგიის მქონე პირების განცხადებების წაკითხვა.

II ეტაპი (სოციალიზაცია) - ენობრივი ელემენტების შეძენის შემდეგ ადამიანები მიკუთვნებულობის გარკვეულ დონეს გრძნობენ. ამ ეტაპზე ისინი ცდილობენ სხვა ადამიანების მოსაზრებებზე რეაგირების მოხდენას და მათთან არაპირდაპირ კონტაქტში შესვლას. ისეთ სოციალურ ქსელებში, როგორიცაა Facebook, მოცემული პროცესის მაგალითად შეიძლება აღვიქვათ მოსაზრებების მოწონება, რიგ განცხადებებზე კომენტარის გაკეთება, ან ადამიანებთან საუბარი ე.წ „კომენტარების სექციაში“.

III ეტაპი (სოციალური კატეგორიზაცია) - ამ ეტაპზე ულტრამემარჯვენე პროპაგანდის გავლენის ქვეშ მოქცეული ადამიანი მიკუთვნებულობის გარკვეულ ხარისხს გრძნობს ჯგუფის მიმართ. ამ დროს ძირითადად ხდება არა იმის განხილვა თუ რა მხრივ მიეკუთვნება ის ამ ჯგუფს, არამედ იმის, თუ რატომ არ მიეკუთვნება მას სხვა. სოციალურ-ქსელებში ამ ეტაპზე აქტიურობის მაგალითებად შეიძლება ჩაითვალოს სხვისი ადამიანების ძალადობრივი განცხადებების თავად გავრცელება ან სისტემატური მოწონება ე.წ „გაზიარების“ ან „მოწონების“ ფუნქციით.

IV ეტაპი (იდენტობის ჩამოყალიბება) - ამ ეტაპზე პიროვნების მიერ ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიმართ მიკუთვნებულობა უმაღლეს წერტილს აღწევს. ამ დროს ადამიანი თავს ჯგუფის „ამაყ“ წარმომადგენლად თვლის. სოციალურ-ქსელებში იდენტობის დაფიქსირება როგორც წესი პირდაპირ, თავად ამ ადამიანის მიერ ხდება, რაც გულისხმობს მის მიერ ღია განცხადების გაკეთებას ჯგუფის მიმართ დამოკიდებულების შესახებ.

როგორც ვნახეთ, იდენტობის ჩამოყალიბების პროცესი ინტერნეტსივრცეებში საკმაოდ

საინტერესოდ და კომპლექსურად ვითარდება. წინამდებარე ეტაპებისა და მათი ინტერნეტსივრცეებში გამოვლინების ფორმების ცოდნა ხელს შეუწყობს მოწყვლადი და დაუცველი ჯგუფების დახმარებას ულტრამემარჯვენე ძალადობრივი პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში.

3.4.3 ინტერნეტსივრცეში ჩამოყალიბებული იდენტობიდან ტერორისტულ თავდასხმამდე

სოციალური ქსელების განვითარებასთან ერთად ულტრამემარჯვენე ძალადობრივი პროპაგანდის კუთხით საინტერესო ტენდენცია შეიმჩნევა. შეიძლება ითქვას, სოციალური ქსელები ინახავენ ინტერნეტსივრცეში ჩამოყალიბებული იდენტობიდან რეალურ იდენტობამდე ჩამოყალიბების ბოლო ეტაპს, რაც გულისხმობს ტერორისტული აქტის განხორციელებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტერორისტული აქტების განხორციელებამდე ადამიანები, რომლებიც აქამდე აფიქსირებდნენ მსგავსი იდეოლოგიების მიმართ სიმპატიებს აქვეყნებენ განცხადებას, სადაც ტერორისტული აქტის განხორციელების ქმედების შესახებ საუბრობენ. ამრიგად, წინა პარაგრაფში დასახელებული ოთხი ეტაპის დასრულების შემდეგ, რომელიც ინტერნეტსივრცეში შექმნილი იდენტობის ჩამოყალიბებით სრულდებოდა, მეხუთე ეტაპად შეგვიძლია შემდეგი დავასახელოთ:

V ეტაპი (რეალური იდენტობის ჩამოყალიბება, ტერორისტული აქტის განხორციელება) - ამ ეტაპზე ადამიანი ახორციელებს ტერორისტულ აქტს და იგი საკუთარ თავს უკვე ჯგუფის სრულფასოვან წევრად მიიჩნევს. სოციალურ ქსელებში მოცემული ეტაპის გამოვლინებად შეიძლება მივიჩნიოთ ტერორისტული აქტის დაანონსება.

აღწერილი V ეტაპის მაგალითს წარმოადგენს მიმდინარე წლის 25 ივლისს, ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ოსტინში ულტრამემარჯვენე იდეოლოგიებით მოტივირებული განხორციელებული ტერორისტული თავდასხმა, რომლის შედეგადაც გარეტ ოსტინი

გარდაიცვალა. თავდამსხმელმა, დანიერ პერიმ, თავდასხმამდე რამდენიმე თვით ადრე Twitter-ზე შემდეგი განცხადებები გააკეთა:

"Now is the time to take up arms and protect yourselves against violence"

"Send them to Texas we will show them why we say don't mess with Texas"[31]

ამრიგად ინტერნეტსივრცეში ჩამოყალიბებული იდენტობა ჯგუფისათვის დამახასიათებელი იდეოლოგიების გავრცელებით შემოიფარგლება და მის შემდეგ ეტაპს რეალური იდენტობის ჩამოყალიბება წარმოადგენს, რაც ტერორისტული აქტის განხორციელების შედეგად ყალიბდება. როგორც წესი, ინტერნეტსივრცეში ჩამოყალიბებულ იდენტობასა და ტერორისტული აქტის განხორციელებას შორის რეალური იდენტობის ჩამოყალიბების ამოცნობა შესაძლებელია პირის მიერ ტერორისტული აქტის დაანონსების შემთხვევაში.

3.5 სოციალური ქსელების ბრძოლა ძალადობრივი პროპაგანდის შემცველ კონტენტთან

მოცემული კვლევის ერთ-ერთ მიზანს ინტერნეტსივრცეებში ულტრამემარჯვენე ძალადობრივ პროპაგანდასთან ბრძოლის გამოცდილების შეფასება და ბრძოლის ახალი მეთოდების რეკომენდაციის სახით დასახელება წარმოადგენს.

3.5.1 სოციალური ქსელების ადმინისტრაციის ნაბიჯები ძალადობრივი კონტენტის შემცირების მიზნით

შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ დასახელებული ყველა სოციალური ქსელის პოლიტიკა სიძულვილის ენისა და ძალადობრივი პროპაგანდის წინააღმდეგ მსგავსია. ისინი ცდილობენ

[31] N.d. The Guardian (2020). *White Supremacists behind Majority of US domestic terror attacks in 2020.* ბოლო ნახვა: 25 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https://www.theguardian.com/world/2020/oct/22/white-supremacists-rightwing-domestic-terror-2020

გარკვეული ოპერაციების დახმარებით ძალადობრივი კონტენტის შემცირებას. ამის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს Facebook-ის ბოლო წლების პოლიტიკა წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ Facebook-მა ძალადობრივი პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა კიდევ უფრო მეტად 2020 წელს გააქტიურა.

2020 წელს Facebook-ზე სიძულვილის ენის შემცველი განცხადებების რაოდენობა განსაკუთრებით გაიზარდა. ამ ტენდენციებთან საბრძოლველად მეტ-ნაკლებად ეფექტური Facebook-ის მომხმარებლებისათვის პოსტის „არასასურველად" მონიშვნის ფუნქციის დამატება აღმოჩნდა. 2020 წელს მხოლოდ მომხმარებლებმა 2 მილიონამდე სიძულვილის ენის შემცველი პოსტი მონიშნეს, რომელიც Facebook-ის ადმინისტრაციამ ვებ-გვერდიდან წაშალა.[32] (იხ. დანართი 13).

დანართი 13. Facebook-ის პასუხი სიძულვილის ენის შემცველ პოსტებზე. წყარო: The Economist.



The Economist

არანაკლებ საინტერესოა სოციალური ქსელების ადმინისტრაციების მიერ ისეთი ანგარიშების

[32] N,d. The Economist (2020). *Social Media's Struggle With Self Censorship*. ბოლო ნახვა: 25 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https://www.economist.com/briefing/2020/10/22/social-medias-struggle-with-self-censorship

წაშლა ვებ-გვერდიდან, რომლებიც სისტემატიურად ავრცელებენ სიძულვილის ენის შემცველ განცხადებებს. ამის კარგი მაგალითია Facebook-ისა და Instagram-ის ადმინისტრაციის მიერ Proud Boys ანგარიშების პლატფორმებიდან წაშლა. [33]

კიდევ ერთ წარმატებულ პრაქტიკას ისეთ სოციალურ პლატფორმებზე როგორებიცაა Twitter და Facebook განთავსებული განცხადებების მართებულობის გადამომწება წარმოადგენს, რაც ხშირ შემთხვევაში საკმაოდ ეფექტურია ძალადობრივი იდეოლოგიების პროპაგანდის საწინააღმდეგოდ.

თუმცა, მიუხედავად ადმინისტრაციის ძალიან დიდი ძალისხმევისა, უნდა ითქვას, რომ მოცემული სოციალური ქსელების მიდგომები სრულად ვერ უზრუნველყოფს მოწყვლადი და საფრთხის ქვეშ მყოფი ჯგუფებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნას. საინტერესოა ისიც, რომ ხშირად Facebook-ის პოლიტიკას მხოლოდ დროებითი შედეგი აქვს, გრძელვადიან პერსპექტივაში კი შეიძლება ნეგატიური ცვლილებებიც გამოიწვიოს, რაზეც მომდევნო პარაგრაფში ვისაუბრებთ.

3.5.2 GAB და Parler, როგორც Facebook-ისა და Twitter-ის ძალადობრივ პროპაგანდასთან ბრძოლის არასწორი პოლიტიკის შედეგი

დღეს GAB და Parler სოციალური ქსელები ულტრამემარჯვენე ძალადობრივი ჯგუფების თავშესაფრად და იდეოლოგიური პროპაგანდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პლატფორმებად განიხილება. [34]

GAB 2016 წლის, ხოლო Parler 2018 წლის პროექტს წარმოადგენს. საინტერესოა, რომ მოცემული პლატფორმებზე მომხმარებლების მატებას სხვადასხვა პროცესებმა შეუწყო ხელი. GAB

---

[33] ^ იხ. სქოლიო (37)

[34] N,d. PBS News Hour (2020). *Right-Wing Users Flock to Parler as Social Media Giants Rein in Misinformation.* ბოლო ნახვა: 25 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https://www.pbs.org/newshour/nation/right-wing-users-flock-to-parler-as-social-media-giants-rein-in-misinformation

რომელიც ულტრამემარჯვენე შეხედულებების მქონე ადამიანებს შორის დიდი მოწონებით სარგებლობს 2016 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარე არჩევნების პერიოდში ზრდის თავის სამომხმარებლო ბაზას. ეს გარკვეულწილად, Facebook-ის საცენზურო პოლიტიკისა და ფაქტების გადამოწმების პოლიტიკის შედეგია. ამ კუთხით, GAB შეიძლება ერთგვარ თავშესაფარად აღვიქვათ, სადაც არ მოქმედებს მკაცრი ცენზურა და ინფორმაციის გადამოწმების პოლიტიკა რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს პროპაგანდის ეფექტურობის გაზრდას ამ პლატფორმაზე.

Parler-ის პლატფორმაზე ცენზურის არ არასებობა მის მარკეტინგულ შეტყობინებაშიც არის მითითებული, რაც განსაკუთრებით მიმზიდველი აღმოჩნდა ულტრამემარჯვენე იდეოლოგიის მქონე ამერიკელი მოსახლეობისათვის. Parler-ის სლოგანი ***„Speak Free"*** განსაკუთრებით ეფექტურად იზიდავს ისეთ ჯგუფებს, რომელთა პოლიტიკური ხედვები ჩამოყალიბების პროცესშია.

მოცემული ორი პრეცენდენტის განხილვის შემდეგ, საჭიროა შევაფასოთ თუ რამდენად გამოიწვია Facebook-სა და Twitter-ზე გატარებულმა რეფორმებმა Parler-ისა და GAB -ის მსგავსი პლატფორმების გააქტიურება. Parler-ის და GAB-ის პოპულრიზაცია, სწორედ ამ პლატფორმების ადმინისტრაციების მიერ შეთავაზებულმა 'თავისუფალმა' გარემომ განაპირობა, სადაც, Facebook-ისა და Twitter-ისგან განსხვავებით, მომხმარებლებს შეზღუდვების გარეშე შეუძლიათ მათთვის სასურველი ინფორმაციის განთავსება, მათ შორის ისეთისაც რომელიც ძალადობას უწევს პროპაგანდას.

თუმცა, რეფორმების აუცილებლობა დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა, რაშიც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა 2018 წელს Facebook-ისა და Cambridge Analytica-ის ირგვლივ განვითარებულმა სკანდალმა.

მიუხედავად იმისა, რომ Facebook-ისა და Twitter-ის გამკაცრებულმა პოლიტიკამ გარკვეულწილად Parler-ისა და GAB-ის მომხმარებლების გაზრდა გამოიწვია, არ შეიძლება მოცემული ნაბიჯი შეცდომად აღვიქვათ, რადგან არსებობდა უფრო დიდი საფრთხეების წინაშე დადგომის რისკი.

მოცემული სოციალური [Parler, GAB] ქსელები ლოკალურს წარმოადგენენ და ძირითადად ამერიკის შეერთებულ შტატებში ოპერირებენ, თუმცა საგულისხმოა მათ მიმართ გაზრდილი ყურადღების არსებობა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან .

3.5.3 სხვა სტრატეგიები ძალადობრივი იდეოლოგიების პროპაგანდის შესამცირებლად სოციალურ ქსელებში

როგორც ვხედავთ დასახელებული სოციალური ქსელების განხორციელებული პოლიტიკა ეფექტურია, თუმცა მას ხშირ შემთხვევაში მხოლოდ დროებითი ეფექტი აქვს. ამრიგად, მნიშვნელოვანია მოვახდინოთ ისეთი სტრატეგიების აქტუალიზაცია, რომელსაც საკმარისი ყურადღება არ ეთმობა სოციალური ქსელების ადმინისტრაციების მხრიდან. ამ მხრივ შესაძლებელია რიგი ნაბიჯების გადადგმა:

ფაქტების გადამოწმების პარტნიორი პლატფორმების რაოდენობის გაზრდა - საინტერესოა, რომ ფაქტების გადამოწმების პოლიტიკა განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა უკანასკნელ წლებში, თუმცა მას თანმდევი პრობლემებიც ახლავს. Facebook-ის ფაქტების გადამოწმების მიდგომა სამ ნაბიჯს ეყრდნობა *კონტენტის წაშლა, შემცირება* და *ინფორმირება.* მნიშვნელოვანია გაიზარდოს ისეთი პარტნიორი ორგანიზაციების რიცხვი, რომლებიც Facebook-ს დაეხმარებიან ფაქტების გადამოწმების პროცესში. თუმცა, ხშირად ის ადამიანები რომლებიც ავრცელებენ ულტრამემარჯვენე ძალადობრივ იდეოლოგიებს ან უკვე არიან ასეთი იდეოლოგიის გავლენის ქვეშ ხშირ შემთხვევაში უნდობლობას უცხადებენ მსგავს ორგანიზაციებსა თუ კომპანიებს.

სოციალური კამპანიების წარმოება სოციალურ ქსელებში - ხშირად მარტივი გამოსავალი ძალიან ეფექტურია. სოციალური კამპანიის წარმოება სოციალურ ქსელებში ისეთი ფორმებით როგორიც არის ე.წ გამოწვევები/Challenge-ები ან #Hashtag-ები, საკმაოდ კარგ შედეგებს აჩვენებს. მსგავსი კამპანიების წარმოება შესაძლებელია ძალადობრივი იდეოლოგიების პროპაგანდის წინააღმდეგაც სოციალურ ქსელებში.

ინფორმირებულობის დონის ამაღლება ძალადობრივი იდეოლოგიების პროპაგანდის შესახებ - ინფორმირებულობის დონის ამაღლება სოციალურ ქსელებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. მნიშვნელოვანია ძალადობრივი პროპაგანდის მიმართ მოწყვლად ჯგუფებს მიეწოდოთ ობიექტური ინფორმაცია სოციალურ სივრცეებში არსებული ამ კუთხით არსებული საფრთხეების შესახებ.

ახალი კადრები კომპანიაში - როგორც ვნახეთ სოციალურ ქსელებში გავრცელებული პროპაგანდა ენის საკმაოდ კომპლექსურ სისტემას იყენებს. ამრიგად, მნიშვნელოვანია ულტრამემარჯვენე იდეოლოგიურ პროპაგანდასთან ბრძოლის პროცესში სოციალური ქსელების ადმინისტრაციებმა კონსულტაციები გაიარონ ისეთი დარგის წარმომადგენლებთან, როგორიცაა სოციოლოგია და ფილოლოგია.

ამრიგად, სოციალური ქსელების მიერ ულტრამემარჯვენე ძალადობრივი იდეოლოგიების პროპაგანდასა და ზოგადად ძალადობრივ იდეოლოგიებთან ბრძოლის წარმატების გასაღები თავად სოციალური ქსელების მომხმარებლებზე გადის, რაც გულისხმობს მათი ინფორმირებულობის დონის გაზრდასა და მეტ ჩართულობას Facebook-ის ადმინისტრირებაში.

დასკვნა

წინამდებარე კვლევაში ინტერნეტსივრცეების კონკრეტული ტიპი, სოციალური ქსელები, დახასიათებული იქნა მასში ულტრამემარჯვენე იდეოლოგიური პროპაგანდის თვალსაზრისით, რისთვისაც ისეთ სოციალურ ქსელებში, როგორებიცაა Facebook, Instagram, Twitter, Parler, GAB, Whatsapp, გაანალიზებული იქნა სიძულვილის ენის შემცველი განცხადებები როგორც სტატისტიკური, ისე - შინაარსობრივი თვალსაზრისით. ასევე დახასიათებულ იქნა მოცემულ ჯგუფებში მოწყვლად და დაუცველ ჯგუფებად ჩათვლილი სოციალური ჯგუფები სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით.

გარდა ამისა, კვლევაში ინტერნეტსივრცეში ულტრამემარჯვენე ძალადობრივი იდენტობის ჩამოყალიბების პროცესი წარმოდგენილი იქნა წრფივი მოდელის საშუალებით, რის საშუალებითაც აღვწერეთ იდენტობის ჩამოყალიბების სხვადასხვა პროცესი და ამ პროცესის გამოვლინების მაგალითები. მოცემული ნაბიჯი სამომავლოდ დაგვეხმარება მოწყვლადი ჯგუფებში იდეოლოგიური გავლენის დონის დადგენასა და მათ დაცვაში.

აღსანიშნავია ისიც, რომ კვლევაში დასახელებული 5 ეტაპიდან 4 ეტაპი სწორედ ინტერნეტსივრცეებში მიმდინარეობს. კვლევაში ხაზგასმულია სოციალური ქსელების მნიშვნელობა იმ ტრანზიციაში რაც მოიცავს ინტერნეტსივრცეში ჩამოყალიბებული იდენტობიდან რეალურ ტერორისტული აქტის განხორციელებამდე.

კვლევაში შეფასებულ იქნა სხვადასხვა სოციალური ქსელების გამოცდილება ულტრამემარჯვენე იდეოლოგიურ პროპაგანდასთან ბრძოლაში და რეკომენდაციის სახით წარმოდგენილ იქნა ის მეთოდები, რომლებსაც არასაკმარისი ყურადღება ექცევა ამ პლატფორმებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

United Nations Security Council. Counter-Terrorism Committee Executive Directorate (CTED) (2020). *Member States Concerned By The Growing And Increasingly Transnational Threat of Extreme Right-Wing Terrorism.* გვ. 3. ბოლო ნახვა: 24 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https://www.un.org/sc/ctc/wp-content/uploads/2020/04/CTED_Trends_Alert_Extreme_Right-Wing_Terrorism.pdf

Auger, V. (2020). *Right-Wing Terror: A Fifth Global Wave?.* Perspectives on Terrorism 14(3). გვ. 87-97 (1).

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი (2019). *S.894 116th Congress 1st Session – A Bill.* სექცია 2. ბოლო ნახვა: 24 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https://www.congress.gov/116/bills/s894/BILLS-116s894is.xml

,n.d. The Washington Post. (2001). *Text: President Bush Addresses the Nation*. ბოლო ნახვა: 25 დეკემებრი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https://www.washingtonpost.com/wp-srv/nation/specials/attacked/transcripts/bushaddress_092001.html

Harris. M. (1971). *Culture, People, and Nature: An Introduction to General Anthropology.* New York: Thomas Y. Crowell Company. (Chapter 7).

Comski, N. (1957) *Syntactic Structures*.

Comski, N. & Ronat, M. (1979) *Language and Responsibilities.*

Idriss, M., C. (2020). *Weaponizing Online Space*. Hate in the Homeland: The New Global Far Right. New Jersey: Princeton University Press.

Institute for Economics and Peace (2020). *Global Terrorism Index 2020. Measuring The Impact of Terrorism.* გვ. 63. ბოლო ნახვა: 25 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია:

https://visionofhumanity.org/wp-content/uploads/2020/11/GTI-2020-web-1.pdf

Beran, D. (2020). *The Boogaloo Tipping Point. What Happens When A Meme Becomes A Terrorist Movement.* The Atlantic. ბოლო ნახვა: 25 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https://www.theatlantic.com/technology/archive/2020/07/american-boogaloo-meme-or-terrorist-movement/613843/

Young. G.D. (2020). *Mass Propaganda Used to Be Difficult, But Facebook Made It Easy.* The Washington Post. ბოლო ნახვა: 25 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https://www.washingtonpost.com/outlook/2020/02/14/mass-propaganda-used-be-difficult-facebook-made-it-easy/

n,d. The Wired (2020). *The Meme-Fueled Rise of a Dangerous, Far-Right Militia.* ბოლო ნახვა: 25 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https://www.wired.com/story/boogaloo-movement-protests/

Shead, S. (2019). *Facebook Owns The Four Most Downloaded Apps Of The Decade.* BBC News. ბოლო ნახვა: 25 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https://www.bbc.com/news/technology-50838013

Matthews, K. (2018). *Facebook, Instagram Ban Far-Right Proud Boys and Founder.* AP News. ბოლო ნახვა: 25 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https://apnews.com/article/2714b6a697d34f59982c398a235858e7

n,d. The New York Times (2020). *Trump Retweets Racist Video Showing Supporter Yelling "White Power".* ბოლო ნახვა: 25 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https://www.nytimes.com/2020/06/28/us/politics/trump-white-power-video-racism.html

N,d. The Conversation (2020). *Parler is bringing together mainstream conservatives, anti-Semites, and White Supremacists as the social media platform attracts millions of Trump Supporters.* ბოლო ნახვა: 26 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https://theconversation.com/parler-is-bringing-together-mainstream-conservatives-anti-semites-and-white-supremacists-as-the-social-media-platform-attracts-millions-of-trump-supporters-150439

Statista (2019). *Number of Internet Users Worldwide from 2005 to 2019.* ბოლო ნახვა: 25 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https://www.statista.com/statistics/273018/number-of-internet-users-worldwide/

Statista (2020). *Global Digital Population as of October 2020.* ბოლო ნახვა: 26 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https://www.statista.com/statistics/617136/digital-population-worldwide/

n,d. Facebook (2020). *Facebook Reports Third Quarter 2020 Results.* ბოლო ნახვა: 25 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია https://investor.fb.com/investor-news/press-release-details/2020/Facebook-Reports-Third-Quarter-2020-Results/default.aspx#:~:text=Facebook%20daily%20active%20users%20(DAUs,%25%20year%2Dover%2Dyear.

N,d. Human Rights Watch (2020). *Covid-19 Fueling Anti-Asian Racism and Xenophobia Worldwide.* ბოლო ნახვა: 25 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https://www.hrw.org/news/2020/05/12/covid-19-fueling-anti-asian-racism-and-xenophobia-worldwide

N,d. Statista (2020). *Distribution of Facebook Users in the United States as of November 2020, by age group.* ბოლო ნახვა: 25 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https://www.statista.com/statistics/187549/facebook-distribution-of-users-age-group-usa/

N,d. Statista (2020). *Percentage of adults in the United States who use social networks as of February 2019, by ethnicity.* ბოლო ნახვა: 25 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https://www.statista.com/statistics/471434/us-adults-who-use-social-networks-ethnicity/

N,d. Statista (2020). *Distribution of Instagram Users Worldwide as of October 2020, by age and gender.* ბოლო ნახვა: 25 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https://www.statista.com/statistics/248769/age-distribution-of-worldwide-instagram-users/

Bourdieu. P (1982). *Langauge and Symbolic Power.*

Webster's Dictionary. (n,d.) *Socialization*. ბოლო ნახვა: 25 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https://www.merriam-webster.com/dictionary/socialization

N.d. The Guardian (2020). *White Supremacists behind Majority of US domestic terror attacks in 2020.* ბოლო ნახვა: 25 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https://www.theguardian.com/world/2020/oct/22/white-supremacists-rightwing-domestic-terror-2020

N,d. The Economist (2020). *Social Media's Struggle With Self Censorship.* ბოლო ნახვა: 25 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https://www.economist.com/briefing/2020/10/22/social-medias-struggle-with-self-censorship

N,d. PBS News Hour (2020). *Right-Wing Users Flock to Parler as Social Media Giants Rein in Misinformation.* ბოლო ნახვა: 25 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https://www.pbs.org/newshour/nation/right-wing-users-flock-to-parler-as-social-media-giants-rein-in-misinformation

ენის გავლენა ულტრამემარჯვენე ექსტრემისტული იდენტობის
ჩამოყალიბებაზე ინტერნეტსივრცეებში